1918 წლის 26 ნოემბერს ოდესის ნავსადგურში გადმოხმულ იქნა ფრანგბერძნობა დეანტი, დაწყის კონტრრევოლუციის მორიგი თარეში, ინტერვენტების მიერ სიკედილოთ დაჯალ იქნენ ბოლშევიკი ლატონინი, ფრანგი კომუნისტი ქალი უანა ლიაბურბი და სხვები. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით და ფრანგი რევოლუციონერების დახმარებით, ანტერვენტთა ჯარებში მზადებოდა აჯანყება. 1919 წლის 5 აპრილს ინტერვენტები განდევნი იქნენ ოდესიდან და ქალაქში მეორედ დამყარდა საბჭოთა ძალა-უფლება.

1919 წლის 23 აგვისტოს ოდესაში შეიქმნა დენიკინერთა ბანდები, იყევ დაიწყო ქალაქისათვის უველაზე ძალის კონტრრევოლუციის პერიოდი. ყოველდღე სიკვდილით იუჯებოდნენ მუშათა კლასის წარმომადგენლები.

1920 წელს, წითელი არმიის მიერ ოდესის დატოვების შემდეგ, თეორეგვარდიელების ბრჭყალებში 17 ახალგაზრდა იატაკებები ჩავარდა. გამხეცებული თეორეგვარდიელების ყველგვარმა დამცირებამ და წამებამ ვერ გატეხა ახალგაზრდების ნებისყოფა.

ახალგაზრდა გმირები ყველა შეკითხვას დუ-  
მილით ხედებოდნენ. სამხედრო-საცელე სა-  
სამართლომ 9 ახალგაზრდა გმირს სიკვდი-  
ლის განაჩენი გამოუტანა, ხოლო დანარჩე-  
ნებს ციმბირის კატორდა მიუსჯა. მსჯავრ-  
დაფებულთ გმირულად ეწირათ თავი. განა-  
ჩენი 24 საათის შემდეგ განახორციელეს.

სიკვდილით დასჯის მეორე დღეს არალე-  
გალურ გაზეთში „ოდესი კომუნისტი“ გა-  
მოქვეყნებულ იქნა დასჯილთა მიერ სიკვ-  
დალის წინ დაწერილ წერილები... ამ ერთ-  
ერთი მათგანია ნაწყვეტი:

„ძირითადად, ახლობელნო, 24 საათში ჩა-  
მომახრჩიობენ შთამომავლობის სამოძღვ-  
როდ, ცხოვრებიდან მივდივარ რევოლუ-  
ციის წინაშე ვალის მოხდის სრული შეგნე-  
ბით... რჩმად მწამს, რომ 17 კაცის პრო-  
ცესა რევოლუციისათვის უფრო დიდი მნიშ-  
ველობა აქვა, ვიდრე მათი რაცხვიდან  
ცხრა კაცის სიკვდილს... ამ მომენტში ჩემი  
სურვალია, რომ თქვენ ყველანი, ჩემი ახ-  
ლობლები, ჩემს სიკვდილს ისე შეხვდეთ,  
როგორც მე — თოლად და შეგნებულად.  
მშეაღიათ, გაუმარჯოს კომუნისტურ რე-  
ვოლუციას! იდა კრასნიშჩევინა“.

1920 წლის 7 თებერვალს წითელმა არ-  
მაბ თდესის პროლეტარიატის აქტიური  
მხარდაჭერით გაათავისუფლა ქალაქი თეთრ-  
გვარდიელთა ურდოებისაგან. ამრიგად, სამ-  
ჯრ მოუხდა თდესის მუშათა კლასს თავი-  
სუფლების მოპოება სამოქალაქო ობის წლე-  
ბში.

### ოდესა — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი და ნავსადგური

საბჭოთა ხელსუფლების დამყარების  
დღიდან თდესამ საგრძნობლად იწყო თავისი  
საწარ გამოცვლა. განსაკუთრებით დიდი ყუ-  
რადება მიეტა ქალაქის კეთილმოწყობასა  
და კაშვენიერებას. სულ შალე თდესა საბ-  
ჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვა-  
ნეა ქალაქიდ და ნავსადგურად იქცა.

სტალინური ხუთწლეულების მანძილზე  
აგებულ იქნა 30-ზე შეტი სამრეწვალო სა-  
წარმო. საქონელბრუნვის მაჩვდვით თდესის  
ნავსადგურს შავი ზღვის ნავსადგურებს  
შორის ბათუმის შემდეგ შეორე ადგილი  
ეკავა.

თდესა საბჭოთა კავშირის მნიშვნელო-  
ვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა თა-  
ვისი კულტორისტულ-საგანმანათლებლო. დაწე-  
სებულებებით. მთელს მსოფლიოში განთქ-

მულია ქალაქის საოპერო თეატრი, თავისი  
ხუროთმომავრებით. ოდესა, ლენინგრადისა  
და კავკასიის შემდეგ, ერთ-ერთ ულამაზეს ქა-  
ლაქებიდ იქცა ჩვენს კავშირში.

შავი ზღვის ნაპირი, რომელზეც თდესა  
მდებარეობს, 45 მეტრით აღემატება ზღვის  
დონეს და სამხრეთ-აღმოსავლეთით შეჭრი-  
ლია მატერიალური დანახლოებით 8 კილომეტ-  
რის სიღრმეზე. სიგანე უბისა, რომელიც  
თდესის ნავსადგურს წარმოადგენს, 10 კი-  
ლომეტრის სიგრძეს. ქალაქის გარეუბნებია  
მოლდაგანკა და პერესიპი. თდესის ულამა-  
ზეს ქეჩებია რიშელიეს, იტალიური და დე-  
რიბაურია. რიშელიეს გეგლის გასწვრივ ლა-  
მაზად გამოიყურება მთელს კავშირში განთ-  
ქმული ორასათვესურანი საუცხოო კიბე, რომელიც ზღვისკენ მივყავრო.

თავისი სამკურნალო თვისებებით თდესის  
ლიმანები (კუალნიკეპის, ხაჯიბეის, კლეინ-  
ლიბენტალის) განთქმულია მთელს საბჭოთა  
კავშირში.

### ოდესის გეირული ბრძოლა

ღადი სამამულო ომის პირველი ღლეები-  
დანვე ქალაქი თდესა ერთ-ერთი პარელ-  
თაგანი იყო, რომელმაც ომის ქარცეცხლი  
ვადაგატანა. გმირი-ქლაქის სახელი სამუდა-  
ბოდ დარჩება კაცობრიობის მეხაიერებაში.

როგორც გამამეტებული ბრძოს მთავარი  
ძალები მოსკოვს უტევდნენ, გერმანელ-რუ-  
მინელთა არმიების ფაშისტური ურდოები  
სამხრეთის ტრამალებზე, შავი ზღვის სანა-  
პიროებით როსტოკისაკენ, კავკასონისაკენ  
მიიწვედნენ. მტრის გზაზე გადაეღობა თდე-  
სა — მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქი  
და საზღვაო ნავსადგური, ქარხნებისა და  
ფარიების კერა, ყვავილების, მუაკისა და  
შრამულების ქალაქი, შავი ზღვის ზურმუხ-  
ტი. 70 დღე და ღამე ას ეძინა თდესას, არ  
ეძინათ მის ძევიდორთ... ამ ხნის განმავლობაში  
პტერმა ქალაქთან და მის მისადგომებთან  
250.000-ზე მეტი კაცი დაკარგა. ქალაქის და-  
მცენები, წათელი არმიის ნაწილებთან ერ-  
თად, უმაგალით გმირობას იჩენდნენ. გან-  
კაუტრებით დიდია თდესის დაცვაში მავი  
ზღვის ულოტის მეზღვაუროთა როლი.

70 დღე და ღამე გმირი-ქალაქი გაიფრთხე-  
ბით ებრძოდა ბრძოს აურაცხელ ბრძოებს,  
ბლოკადის რკინის მარწუხებში მომწყვდეუ-  
ლი თავდადებით უგერიებდა მტრის ერჩა-  
შებს... ფაშისტების შავი სისხლით გაიუღინ-  
თა ყამირი ნიადაგი. განუწყვეტილო ცეცხლის  
ქვეშ გმირავდა თდესა მძია. დღეობი ფუთ-  
ქდებოდნენ ვაზიები. ნაღმები, ბობოქრობდა  
ხანძართა ალი, ღელვდა ზღვა...



ოდესის დამცველთა შეუპოვრობამ და სიმტკიცემ, ძრაისაღმი მიყენებულმა ზარალ-ბა შეამსუბუქა ჩევნი ჯარების მდგრამარეობა აამხრეთით და ჩაშალა მტრის შემოტევის გეგმა.

ოდესის გმირულ დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ხალხის სამაყო შეი-ლებიც. მათ შორის არ შეიძლება არ მოვიხ-სენით საბჭოთა კავშირის გმირები ალექ-სანდრე შურაშუმია და არკადი გეგეშიძე, მი-ხეილ ჯინჭარაძე და ვლადიმერ სეხნია-შეილი.

ჩევნი სამშობლოს ყველაზე მძიმე შუთებ-შიც კი ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ჩევნ კვლავ დავუბრუნდებოდით ოდესას, კვლა-ვაც ვიხილავდით მას სიმშევნიერებს, შავი ზღვის ლამაზ სივრცეს, მის ლიმანებს. მას წლებში შობილი სიმღერა ოდესაზე მუდამ გვამხნევებდა და ძალას გვმატებდა...

30 თვეი 1944 აცილის პერიოდში ოდესა არ ცხრებოდა, იგი იბრძოდა. შავი ზღვას პირას ორშელიწადნახევარს არსებობდა ორი ოდესა: ერთი — ზემოთ, მოუცვენარი, რუ-მინული თაღლითური ბაზრობა, მეორე კი—ქვემოთ, კატაკომბებსა და წოლხვრელებში, ვე მეტრის სიორმეზე, უძილო, შეიარაღე-ბული, მტრის ზურგში აჯანყების დასაწყე-ბად გამზადებული, და ეს მეორე ოდესა მო-უთმენლად ელოდა აჯანყების დაწყების ნი-შანს.

ასეთ ნიშნად მიწასქვეშეთი ბანაკისათვის იქცა წითელი არმიის ქვემეხთა გუგუნი ქა-ლაქის მისადგომებთან 1944 წლის აპრილის დამდეგს...

### ოდესაშ გაიგარება

ოკუპანტები უცებ ორ ცეცხლშეა აღმოჩ-ნდნენ: აღმოცლეთით ლიმანებია ქარადან

მათ თავზარს სცემდა წითელი არმიის შეუ- ჩერებელი შეტევა. თვით ქალაქში მათ ცე-როდა კატაკომბებიდან ამოსული უძლევე-ლი იდესა, რომელსაც შურისძიება სწყუ-როდა. 9 აპრილს გენერალ ცვეტავის დი-გიზა ბრძოლებით შეიჭრა ქალაქში, ამავე დროს კატაკომბებიდან გამოსული იდესა ულმობლად ესროდა უკანდახეულ მტერს. ოკუპანტები ზღვაში გადაისროლეს. ასე უბადრუებად დამთავრდა ოკუპანტების „ბა-ტონობა“ ოდესაში.


1944 წლის 10 აპრილს ჩევნში არმიამ მთლიანად აიღო ქალაქი ოდესა — საბჭო-თა კავშირის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პოლიტიკური ცენტრი და შევი ზღვის პირ-გელხარისხოვანი ნავსადგური. ამ დღეს რა-ლიოტალებმა გაცვეთეს ეთერის სივრცე და ოდესა აცნობეს წითელი არმიის მიერ და-წყებული შეტევის შესახებ სივაშზე, ჩევნი ჯარების შეჭრის შესახებ ყირიმში, ჯანკოის აღების შესახებ...

და ოდესა მხიარულობდა, მისი მკვიდრინი ზეიმობდნენ.

1944 წლის 10 აპრილის 20 საათზე საბ-ჭოთა ქვეყნის გულმა — მოსკოვშა და შავი ზღვას ზომალდებმა სამშობლოს სახელით 35 უაარტილერიო ზალპით ამცნებს მთელს მოფლიოს ქალაქ იდესის სამუდამოდ გა-მარჯვება...

შეუპოვრად და დაუღალვად მუშაობენ ახლა იდეალები თავისი მშობლიური ქა-ლაქის აღდგენაზე. მოგადახდილი გმირი-ქალაქი, ჩევნი დიადი სამშობლოს აახალხო მეურნეობას აღდგენისა და განვითარების ფერწულში ჩამოარისები, კვლავ პორანავე ცაბ-ჭოთა ქალაქების რიგებში დგება.

### ნიკოლოზ ჯავა



ოდესა. პარტიის დაოლექო კომიტეტის შენობა



(დასასრული\*)

სახლიდან ფლორიზელის ხშირად წასცლამ შეაშეფოთა პოლიქაენე. მან შეიძლს სათვალთვალოდ ხალხი მიუჩინა და გაიგო მისი სიყვარული მეცხვარის მშვენიერი ასულისადმი.

პოლიქაენემ ნახა კამილო, ერთგული გამილო, რომელმაც მისი სიცოცხლე ლეონტის მძინეარებას გადაარჩინა, და მოძღვრება თან წაკუთლოდა პერდიტას ცრუ მიმს — მეცხვარის სახლში.

პოლიქაენე და კამილო, ორივე გადაცმულნი, ცხვრის პარსვის აღსანიშნავ დღესაწაულზე მიგიდნენ მოხუცი მეცხვარის სამყოფელში. თუმცა უცნობება იყვნენ, მაგრამ, რადგან ცხვრის პარსვის ღროს ყველა სტუმარი სასამოვნოა, ისინი შეიწვიეს შინ და სთხოვეს ჩაბმულიყვნენ საერთო მხიარულებაში.

მხიარულებასა და შექცევის გარდა სხვა არა ჩანდა რა. სუფრები გაეშალათ და დიდი სამზადისი იყო სოფლები ლხინისათვის. ზოგი ჭაბუკი და ქალიშვილი სახლის წინ მოლზე ცეკვავდა, სხვა ყმაწვილი ბიჭები კართან მდგომი მეწვრილმანისაგან ბაჟთებს, ხელთამანებსა და სხვა წვრილმანს ყიდულობდნენ.

გარშემო რომ ეს ფუსტუსი იყო, ფლორიზელი და პერდიტა წყიარად მისხარევები

\* დასაწყისი ინ. უურნალ „პიონერის“ 1946 წლის № 12.

ნენ მყუდრო კუთხეში. ეტყობოდათ, ერთმანეთთან მუსაიფი უფრო ეამებოდათ, ვიდრე გარშემო მყოფთა ქარაფშუტულ დროსტარებამა და თამაშში ჩარევა.

მეფე ისე იყო გადაცმული, რომ შვიცეს არ შეეძლო მისი ცნობა. ამიტომ ისე ახლოს მივიდა, რომ მათი საუბარი მოესმინა. ლაპარაკის უბრალო და მოხდენილმა კილომ, რომლითაც პერდიტა ებასებოდა მის ვაჟს არამცირებ გაკვირვა პოლიქაენე. მან უთხრა კამილოს: „მას მშვენიერი გლეხის გოგო მე არასოდეს მინახავს. რაც უნდა ჰქინას ან სოქვას, მაინც უფრო დიდებული ჩანს თავის თვათან შედარებით; ეს ძლიერ კეთილშობილია ამ ადგილისათვის“.

„ტეშმარიტად“, — მიუგო კამილომ, — „ეს ნალებასა და ხაჭოს ნამდვილი დედოფალია“.

„ერთი მიბრძანე, ჩემო კეთილო“, — მიმართა მეფემ მოხუც მეცხვარეს, — „ეს ვინ ტურთა ჯეელი ემუსაიფება შენს ქალს? „დორიკელეს ეძახან, — უბასუსა მეცხვარემ. — „ამბობს, მიყვარს შენი ქალიო. და პართალი მოგახსენოთ, ვერ გაგვირჩევია, რომელს უფრო უყვარს. თუ ჭაბუქმა თორიკელემ ეს შეიითო, მათ რამებს მიუტანს მზითვად, რომ არც კი დაქისხმება“. ის ამით პერდიტას პატიორან თვლება გულისხმობდა. ამ პატიოსანი თვლების ერთი ნა-

ჭილით ცხვრის ფარა რომ იყიდა, მერე დანარჩენი გულმოღინედ შეიძახა პერდიტას სამზითოდ.

შემდეგ პოლიქესენემ თავის გას მიმართა, „აბა, ყმაწვილო!“ — უთხრა მან, — „ჩანს, შენი გული სეთ რამეს აღუსია, რომ ქეოფისთვის აღარა გცალია. როცა ახალგაზრდა ვიყავი, ჩემს უატოფოს ავავსებდი ხოლმე ააჩუქრებით, შენ კი მეწვრილმანე ისე გაისტუმრე, რომ მიჯანმართვის არაფერი გიყილია.“

ჭაბუკი უფლისწული სულაც არ ფიქროდა, რომ თავის მამა მეფეს ელაპარაკებოდა, და აյე უბასუხა: „მოხუცო, იგი არად აგდება სეთ ამაოებას. ის ააჩუქარი, პერდიტა რომ ელის ჩემგან, ჩემ გულშია ჩაკეტილი“. მერე პერდიტას მიუბრუნდა და უთხრა: „ო, გამიგონე, პერდიტა, ამ მოხუცო დარბასულს წინაშე, რომელიც აგრეთვე ერთ დროს მიჯანმართვილა; მან მოიმინოს, რააც ვალიარება!“ ფლორიზელმა შემდეგ ათხოვა უცხობ მოხუცო, მოწმე ყოფილიყო პერდიტასთან ქორწინების ააზეიმო ფიცისა და ბოლოს უთხრა პოლიქესენეს: „გევედრება, დალოც ჩვენი კავშირი!“


„თქვენი კავშირი კი არა, თქვენი გაყრა, ბატონო ჩემო!“ — შეიძახა მეფემ და გამოეცხადა თავისი სახით. პოლიქესენემ დატუჭა შვილი, ამ მდაბალი წარმოშობის ქალას უერთვეს რომ აპირებდა. თან პერდიტას

უწოდა „მეცხვარის გომბიო, კომბალი“, და სალანძღვი აახელები. თანაც დაემუქრა, თუ კიდევ ეჩვენე ჩემს შვილს, შენ უა შენს მოხუც მეცხვარე მამას მკაცრი სიკვდილით დაგუჯითო.

მერე დიდად განრისხებული მეფე გაემართა შინიაკენ უა უბრძანა კამილოს, უფლისწულ ფლორიზელთან ერთად თან ხლებიდა.

როცა მეფე წავიჟა, პერდიტამ, რომლის მეფური ბუნება აღაშოთა პოლიქერიაბან გაკიცხვამ. თქვა: „თუმცა ჩემინ სულ დავიღუქეთ, მე მაინც დიდად ას შემზებია. ერთი ოჯახი კიდეც დავაპირე ჩაის ამონება და მკაფიოდ თქმა: იგივე მზე, რომელიც მის სასახლეს აშუქება, ჩვენ აახლაც ხომ არ არიდება პირს და ერთნაირად დააცქერის ორთავეს!“ — შემდეგ ნალვლინად დაუმატა: „მაგრამ ახლა გამოვერკვიე ამ სიზმრიდან. მე არა ვიდეოლიყლებ. დამენსენი, ბატონო, ჩემს ცხვრებს მოწველი და ვიტირებ ჩემთვის!“

გულკეთილი კამილო პერდიტას ქცევის გონიერებამ და მოხდენილობამ მოხიბლა. მან გაითვალისწინა, რომ ახალგზრდა უფლისწულს ძლიერ უყვარდა თავისი სატრიტო და ას იდვალად თავს ას დაანუბებდა გვირგვინოსანი მამის ბრძანებით. ამ-ტომ გამონახა სეთი გზა, რომ მიჯნურებულერთად შეეყარა და თანაც აღრევე ნალოლები განზრახვაც ალესრულებინა.



...ფლორიზელი და პერდიტა წყინარად რიმს ხდარიყვნენ მულდრო კუთხეში,

კამილომ დღიდ ხანია იცოდა, სიცილის  
მეფე ლეონტი შემარიტი მონანიც რომ გახ-  
და და თუმცა კამილო ხელი პოლიქენე  
მეფის საყვარელი მეგობარი იყო, მანც კ-  
ვერ დაეთრგუნა სურვილი — ერთხელ კი-  
დევ მოენახულებინა თავისი გვირგვინსა-  
ნი ბატონი და მობლიური სახლი. ამიტომ  
მან შესთავაზა ფლორიზელსა და პერდი-  
ტას სიცილის მეფის კარს წავიდეთ, იქ  
მოგახერხებ შეგვიგრძომოთ, ვიდრე მისი  
შუამავლობით პოლიქენესაგან პატივის  
და ქრისტინების ნებითვას არ შეიღებოთ.

ამას სიხარულით დაეთანხმენ ისით. კა-  
მილომ მათი გაქვევისათვის კველაფერი  
მოაგვარა და მოხუც მეცხვარესაც. წება  
დართო თან გაპყოლოდა.

მეცხვარემ თან წაიღო პერდიტას პატიო-  
სანი თვლების ნაშთი, მისი პატიო ბალონ-  
ბის ტანსაცმელი და ის ქალალი, მის წა-  
მოსახამზე ქინძისთავით მიბმული რომ  
ნახა.

ჩინებული მგზავრობის შემდეგ ფლორი-  
ზელი და პერდიტა, კამილო და მოხუცი  
მეცხვარე შევიდობით მივიღნენ ლეონტის  
სასახლეში. ლეონტი ჯერ კიდევ დატირო-  
და თავის გარდაცვლილ პერმინეს და და-  
კარგულ შეილს. მან ძლიერ ალექსინად  
შეიღო კამილო და ბატონიზელ ფლორი-  
ზელსაც გულითადად მიესალმა. მაგრამ  
პერდიტამ კი, რომელიც ფლორიზელმა თა-  
ვის მეუღლედ გააცნო, თითქოს სულ შთან-  
თქა ლეონტის ყურადღება, — გან შეამჩ-  
ნია, რომ ის გარდაცვლილ დედოფალ პერ-  
მინეს ჰგავდა. მისმა მწუხარებამ კვლავ  
თავი იჩინა და თქვა, ჩემი საკუთარი ასუ-  
ლიც ეგრე ტურფა იქნებოდა, ისე ბორო-  
ტად რომ არ დაშელუპაო. „და გრეთვე“,  
უთხრა მან ფლორიზელს, — „თქვენი გუ-  
ლადი მამის ამხანაგობა და მეგობრობაც  
დაკვარებე. მისი ნახვა კი მხლა ჩემ სიცო-  
ცხლეზე უფრო მეტად მშეურია“.

როდესაც მოხუცმა მეცხვარემ გაიგო, მე-  
ფე როგორ დაინტერესა პერდიტამ და  
როგორ დაეყარგა მის სული, ჩეილობაში  
რომ გადაეგდებინებინა, მან დაიწყო აწო-  
დაწონა, როდის იმოვა პატიო პერდიტა,  
როგორ იყო გადაგდებული თავისი პატიო-  
სანი თვლებითა და მალალი წარმოშობის  
მაჩევნებელი სხვა ნიშნებით. ყოველივე  
ამით არ შეიძლებოდა არ დაისკვნა, რომ  
პერდიტა და მეფის დაკარგული ასული  
ერთი და იგრვე იყვნენ.

ფლორიზელი და პერდიტა, კამილო და  
ერთგული პაულინა იქ იყვნენ, როცა მო-

სუცმა მეცხვარემ უამბო მეფეს, როგორ  
ითვა ბავშვი და აგრძეთვე ანტაგონერები  
გორ დაიღუბა; — მას დაენახა, დათვმა  
რომ შეაბყრო იგი, აჩვენა მდიდრული წა-  
მოსახამი და პაულინას მოაგონდა, რომ  
პერმინემ იმაში გაახვა ბავშვი. ამიღმო  
ძირიფასი სამკაული და პაულინას მოაგონ-  
და, პერმინემ ყელს რომ შეაბა ეს პერდი-  
ტას. და ბოლოს გადასუა ქადალდა, და პა-  
ულინამ იცნო თავისი ქმრის ნაწერი. უფე-  
ველად, პერდიტა ლეონტის საკუთარი ასუ-  
ლი იყო, მაგრამ ომ რა კეთილშობილ სუ-  
ლიერ ბრძოლის განიცდიდა პაულინა თავი-  
სი ქმრის სიკედილის დარტსა და იმ სიხა-  
რულს. შორის, რომ წინასწარმეტყველება  
აღსრულდა და მეფის შემკვიდრე, დიღი  
ხნის დაკარგული ასული, იძოვეს. როდე-  
საც ლეონტიმ შეიტყო, პერდიტა ჩემი ქა-  
ლია, დიდად შეწუზდა, პერმინე ცოცხა-  
ლი რომ აღარ იყო, რომ თავისი შეილი  
ეხილა. და ამ ჯავრმა ისე გახადა, რომ  
დიდხანს სხვა ველარა წარმოთქვა. რა,  
გარდა სიტყვებისა: „ოჲ, დედაშენი, დედა-  
შენი!“.

ეს სასიხარულო და ამავე დროს შემაწუ-  
ხებელი სცენა პაულინის ჩარევაშ დარღ-  
ვია. მან ლეონტის მოახსნა; მე მაქს. გა-  
მოჩენილი იტალიელი მოქანდაკის ჯულიო  
რომანისაგან გაკეთებული ქანდაკება, რო-  
მელიც ისე ძლიერ ჰგავს დედოფალს, რომ  
თქვენს უდიდებულესობას, ვიცა, ეამება,  
თუ წარმობრძანდებით ჩემს სახლში და ნა-  
ხავთ; თქვენ თითქმის მზად იქნებით იფიქ-  
როთ, ეს თვით პერმინეა. უკელანი იქ  
წავიდნენ. შეფეს ეჩემარებოდა თავისი პერ-  
მინეს გამოსახულების ნახვა, პერდიტას  
კი უცუროდა ენახა, როგორი ყოფილიყო  
მისგან უნახვი დედა.

პაულინმ გადასწირ უარიდა, ამ სახელ-  
განთქმულ ქადაგებმა რომ ფარავდა. ისე  
სრულყოფილად წაგავდა ქანდაკება პერ-  
მინეს, რომ იმის დანახვაზე შეფეს მოელი  
მწუხარება განახახლდა და დირხანს ველარ  
შესძლო ხმის მოღება და განძრევა.

ბოლოს შეფეს თქვა: „ოჲ, ასე იდგა იგა,  
სწორედ ასე დადგებულად, მე რომ პირვე-  
ლად გვეტრიფიალე. მაგრამ მინც, პაული-  
ნა, პერმინე ასე დიდი ხნისა არ იყო, რო-  
გორც ეს ქანდაკება გამოიყურება“. „მაშ,—  
მოუგო პაულინამ, — მით უფრო ჩინგბუ-  
ლი ყოფილი მოქანდაკე, პერმინეს ქანდა-  
კებმისათვის ისეთი შეტელულება რომ მიუ-  
ცია, როგორც მის ექნებოდა, აქამდე რომ



სე საულყოფილად წაგვადა ქანდაკება ჰერმიონეს, რომ იმის დანახვაზე მეფეს ძაღლი  
მწუხარება განუახლდა და დოდხანს ვეჯაზე შესძლო ხმის ამოღება და გამძრევა.

ეცოცხლა. მაგრამ ნება მიბოძეთ, ფარდა  
ჩამოვაფარო, თქვენო უდიდებელესობავ,  
თორებ მალე იმასაც იფიქრებთ, მოძ-  
რაობსაც”.

„ნუ ჩამოვაფარებ ფარდა! — შესძხა  
შეფეხი, — ცოცხალი არ ვიყო, თუ არ მო-  
რობდეს! შეხედე, კამილო, არ გეჩვეჩება,  
რომ ამისუნთქმე? თითქოს მისი თვალი  
ცოცხალდა”. „უნდა ჩამოვაფარო ფარდა,  
ჩემი ბატონი! — თქვა პაულინამ. — თქვენ მსე  
მოჯადოებული ბრძნდებთ, თავს დაარწ-  
მუნებთ, ქანდაკება ცოცხალია. „ო, ტები-  
ლო პაულინა! — უთხრა ლეონტიმ. — ნე-  
ტავ ასე ვირწმუნებდე მთელ იც წელი-  
წად! მე მაინც შეგონი. სუნთქმას, განარა-  
ოსტატურ საკეთს შეეძლო ღიასმე სუნთ-  
ქმა გამოეკვეთა? დაი ხურავინ დამციხეს,  
უნდა ვაკოცო! „ქმარა, ხელმწიფეო, თავი  
შეიკვეთ! — თქვა პაულინამ. — მის ბაგე-  
ზე წითელი ფერი ჯერ კიდევ სველია;  
თქვენს ბაგეებს გაისცრით ზეთის სალება,  
ვით. ჩამოვაფარო ფარდა?“ „ნუ, ნუ, ამ  
იც წელიწად!“ — შესძახა ლეონტიმ.

ჰერდიტამ, რომელიც მთელი ამ ხნის  
განმავლობაში მუხლმოყრილი ადგა და  
ულფრთვანებული მდუმარედ შესცერო-  
და თავისი უებრო დედის ქანდაკებას, ახლა  
დასძინა: „და ამდენივე ხანს მეც აქ ვიდგე-  
ბი და ვუყურებ ჩემს ძვირფას დედას“.

„ან თავი შეიკავეთ აღლვებისაგან და  
ნება მიბოძეთ ფარდა ჩამოვაფარო“, —

უთხრა პაულინამ ლეონტის, — „ან მოემზა-  
დეთ უფრო განცვიფრებისათვის. მე შემიძ-  
ლია მართლაც ავამოძრაო ქანდაკება! დიახ,  
ჩამოვიყვანო კვარცხლბეჭიდან და სელი  
მოვაკიდებინო თქვენთვის. მაგრამ თქვენ  
მაშინ გეგონებათ, თითქოს რაიმე ბორიტი  
ძალები მესხმარებიან, მე კი მოგაშსენებთ,  
რომ უ ასე არი არის“.

„რაც უხდა აქნევინო, — მიუგო გაო-  
ცებულზე მეფემ, — თანახმა ვარ ვუცეირო.  
რაც უნდა ათქმევინო, თანახმა ვარ ყური  
ვუგდო, რადგან სევე ადვილია მისი ალა-  
პარაკება, როგორც ამოძრავება“.

მაშინ პაულინამ უბრძანა ყოველი შემთ-  
ხევისათვის წინდაწინ მომზადებულ მემუ-  
სკეებს, წყარი და საზეიმო მუსიკა დაუ-  
კარითო. და ყველა მაყურებლის განსაც-  
ვიფრებული ქანდაკება ჩამოვიდა კვარცხლ-  
ბეჭიდან და ლეონტის ყელთ მოეჭდო. მე-  
რე ქანდაკებამ ენა ამოღება და ლოცვა  
დაიწყო თავის ქმრისა და ახლადნ პოვნი  
შეილის პერდიტასათვის.

არ არის საკურიველი, ქანდაკება რომ  
ყელს მოეხვია ლეონტის და ლოცულობდა  
ქმრისა და შეილისათვის. არ არის საკურ-  
ველი, რადგან ქანდაკება მართლაც თვით  
ჰერმიონე იყო, ნამდვილი, ცოცხალი დედო-  
ფალი.

პაულინამ ტყუილი მოაშსენა მეფეს, ჰერ-  
მიონე გარდაცვალია. ეს მიაჩნდა ერთად-  
ერთ საშუალებად, რომ თავის გვირგვინო-

ნანი ქალბატონისათვის სიცოცხლე შეენარჩუნადა. მას შემდეგ პერმიონე ცხოვრობდა პაულინასთან და ვერაოდეს გაღაწყვორტა ლეონტიკათვის გაეგებინადინა, რომ ცოცხალი იყო, ვიდრე ას შეიტყო, პერძიტა იპოვესო, რადგანაც, თუმცა ძან დიდი ხნის წანაზ მუტტივა ლეონტის თავისი შეურაცხყფა, ვერ შესძლო ეპატიგბანა ის სისასტიკე, მეფემ ჩივილი შვილისადმი რომ ჩაჯინა.

გარდაცვლილი დედოფალი რომ ასე შევდრეთით აღუდგა და დაკარგული ასული რომ ასე იპოვა, მრავალტაჯულმა ლეონტიმ ძლიერ მოახერხა მოჰკარებებული საკუთარი ბედნიერების ატანა.

მოლოცვებისა და კულტბილი მიმართვების გარდა ყველა მხრიდან სხვა არა სამოდა რა. გახარებულმა შშობლებმა მადლობა გადაუხადეს ბატონიშვილ ფლორიზელს, მათი თითქოს დაბალი წარმოშობის ასული რომ უყვარდა. მერე დალოცეს კეთილი მოხუცი მეცხვარე ბავშვის გაზრდისათვის. დიდად უხაროდათ კამილოსა და პაულინას, აქამდე რომ იცოცხლეს და ნახეს ყველა თავისი ერთგული სამსახურის ასე კეთილი ბოლო.

და თითქოს მარტო ეს პელია აუზუდაური და მოულოდნელ. ა. ხარულის შეკვებარა, ეხლა თვით შეფე პოლიქენე შემოვიდა სასახლეში.

როცა პოლიქენემ პირველად დაკარგა თავისი ვაუი და კამილო, მან იცოდა კამილოს იდინხანა რა რომ სურდა სიცოლის იაბრუნება და იფიქრა, ლოტოლვილ იპინებ იქვე ვალოვონ. დიდი სიჭრაფით დაედევნა მათ და აწორედ ლეონტისათვის ამ უბედნიერება დროს ჩამოვიდა.

პოლიქენემ მონაწილეობა მიიღო საერთო სიხარულში. მან მიუტევა თავის მეგობარ ლეონტის მისდამი უსამართლო ეჭვანიბა და მათ კვლავ უყვარდათ ერთმანეთი. ბავშვობის პირველი მეგობრობის მთელი გულთბილობით. იხლა უკვე იღარ იყო საშიში, რომ პოლიქენე წინააღმდეგებოდა თავისი ვაუისა და პერდიტას ქორწინებას. პერდიტა ახლა უკვე „კომბალი“ კი არა, სიცილის ტახტის მემკვიდრე იყო.

თარგმნა ინგლისურიდან  
ალ. გამზირის მიერთების

3. გოგიაშვილი

ნახატები ვ. ბელუცეანის

## ავადმყოფი ლომი

ი გ ა გ ი

ერთხელ ლომი გახდა ავად,  
შედაოდნენ აახახავად  
მეზობლები, მეგობრები,  
დატვართული პერნდათ მხრები.  
ლომი იშვა ტყეში თბილად  
ბალაბებზე შშვილად, რბილად.  
ტურამ — იხვი, მგელბა — ცხვარი  
ლომი მართვეს საჩუქარი,  
ვეუკეპა — შვალი, დაკვამა — თაფლი,  
ციყქვა — თხალი, თაგვამა — წაბლი,


— დიდო მეფევ, — თქვა დათუნამ.  
არ აცალა მას თაგუნამ  
და წარმოთქვა: — არ ჩანს მელა,  
ჩუმჩუმა და ქვემძროშვლა.  
სიტყვა მგელბა გააგრძელა,  
თქვა: შემხვდაო გზაში ციყვი,  
ჩერჩეტა და კუუით ბრიყვი,  
მიღიოდა ლომთან ჩერა  
ხტუნა და მეტიჩარა,



და მელია კუდაგრძელა  
დაცინოდა ციყვს და ყველას,  
ვინც მოვედით თქვენთან, მეცვა.  
ვინც ბას გზაში შევეფეოთ. —

თურმე ამ დროს მელაკუდა,  
ცბიერი და ჭორის გუდა,  
ბუჩქთან იწვა განაბული,  
თვით ისმინა იქვე თქმული.  
გაბრაზდა და წამოვარდა,  
უცბად ლომთან შემოვარდა,  
ძირს დამხო ლომის წინა,  
თათი მაღლა აიშვირა,  
ატირდა და აზლუქუნდა,  
ლომს ცრემლებით მიუბრუნდა:  
— დიდო მეფევ! დღეა სამი,  
არ დავმჯდარვარ ერთი წამი,  
ვწუხვარ, რომ ვერ მოგიარეთ.  
ექიმები მოვიარე,  
მთლად შეგძარი მთა და ბარი  
და წამალი უებარი,  
რაც მოგარჩენთ ახლავ, მალე,  
მე გავიგე, გენაცვალე!  
რაც შეგვიცვლის ამ ჭირს ლხენად,  
გახლავთ მხოლოდ რუს მგლის ენა! —  
თქვა მელამ და წარსლგა წინა,  
ულვაშებში ჩაიცინა.  
შეგელს დაეცა შიშის ზარი,  
ცახცახებდა ცოცხალ-ძკვდარი.  
ვეფხვმა შექმნა უცბად ლრენა,  
ამოძგლიჯა ხარბ მეგლა ენა,  
ლომს ვიართვებ ენა, პოდა  
მელა ჩუმად იცინოდა.  
— არა, მეფევ, — ხტოდა ციყვი, —  
მე არა ვარ ისე ბრიყვი,

რომ ვერ მოვწდე მელას ხრიკებს,  
ეგ ცბიერი ხაფუნგა გვეგებს.  
შვილი მყავდა გუშინ აფად,  
ექიმები სანახავად  
რომ მოვიღნენ, თქვენზეც ვკითხე  
და იმათ კი ასე შითხრეს:  
— ერთ ცბიერს აქარს თქვენი უინი,  
ლომს მოარჩენს მელის ტვინი! —  
ვეფხვმა ალარ დაახანა,  
წუწკისაკენ გაექანა,  
მსწრაფულ იყარა ფლიდის ჟინი,  
ლომს მიართვა შელის ტვინი.  
— ერთს მეც ვიტყვი, ჰყადრა დათვმა,  
მაგრამ უცბად ლომის თათმა  
შეაჩერა: — რად გაქვთ ომი? —  
წამოიჭრა ზეზე ლომი:  
— ვერ შემიცვლის ამ ჭირს ლხენაღ  
ვერც ეგ ტვინი, ვერც მგლის ენა.  
ის მომარჩენს, ის მიშველის  
და ის მომცემს მხნე იმედებს,  
თქვენი ენა, თქვენი ტვინი  
ძმობისთვის რომ იმოქმედებს.



ვისაც უყვარს მეგობრობა, —  
მოსპოს შური, მოსპოს ძტრობა!  
უნდა აწამდეს ძმობის ძირი,  
უნდა ჰქონდეს ერთი პარი.  
ვინც ფლიდობით ეძებს სახელს,  
თვით მოჰყვება თავის შახეა!



## აღმასახური თვალშეკერიბი



1913 წლის შემოდგომაზე თბილისიდან მოკავშირისაკენ მიმავალ მატარებლის კუპეში, ერთმანეთს შეხვდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათ ფაკულტეტის დოცენტი ივანე ჯავახიშვილი და დონის პოლიტექნიკუმის მინერალოგიური კაბინეტის თანამშრომელი ალექსანდრე თვალშეკრელიძე. არდალეგებმა შემდეგ ასინი სამშობლოდან ბრუნდებოდნენ — ერთი შორეულ პეტერბურგში, მეორე — ნოვოჩერკასში. ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები იძულებული იყვნენ სამშობლოდან შორს ემსავათ, რაგან თბილიში არ იყო მაშინ უძალესი სამუშავლებელი, არ იყო სამეცნიერო ცენტრი, სადაც მათ შეეძლებოდათ თავისი ცოდნის გამოყენება. მაგრამ ორივე გულში ულვილდა იმდრი, რომ როდისმე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, აქ იმუშავებოდნენ და თავისი ცოდნას მშობლიურ ხალხს მოახმარებოდნენ. იყვნენ ჯავახიშვილს უკვე გაგონილი ჰქონდა ახალგაზრდა ნიჭიერი მინერალოგის სახელი და მან დაწერილებით და გულდასმით გამოჰკიანდა ვინაობა და მისამართი. ასეთი ცნობები უკვე ბლომად იყო თბილისის უნივერსიტეტის მომავლი თრგანიშატორისა და შესანიშნავი ქართველი სტორიკოსის უბას წევნაკში, იგი აგრძელებდა ცნობას რუსეთში მომუშავე ქართველ მეცნიერთა შესახებ. ორივე გატაცებით ლაპარაკობდნენ საქართველოს მეცნიერების კერძო შექმნაზე. საღვურ ბესლანში ალექსანდრე თვალშეკრელიძე ჩაიდა სხვა მატარებელში გადასაჭრებულდა.

მეორედ ისინი შეხვდნენ ეროვნების მხოლოდ 1918 წელს, როდესაც ალექსანდრა

მათი დიდი ხნის ოცნება: თბილისიში უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა. ცნობილი მინერალოგისა და გეოგრაഫის ფუნდებდებლის აკადემიკოს ვ. ნ. ვერნადსკის რეკომენდაციით თბილისის უნივერსიტეტის მინერალოგის კათედრას პროფესორად მოწვეულ იქნა მისი მოწაფე ალექსანდრე თვალშეკრელიძე. მას აქეთ 27 წლისა განვლო. დღეს არ არის საქართველოში გეოლოგი, სამთო ინჟინერი ან სამთო მრეწველობასთან დაკავშირებული სხვა რომელიმე აკეკიალისტი, რომ არ აცნობდეს ალ. თვალშეკრელიძე, არ მოექმნის მისი ლექციები, არ მომართოს მისთვის რჩევისა და დარიგებისათვეს.

ალექსანდრე ანტონის-ძე თვალშეკრელიძე დაიბადა 1881 წლის 1 დეკემბერს ყუბანის ოლქის სტანიცა ბატალპაშინსკაიაში, პედაგოგის ოჯახში. სწავლობდა სტავრიპოლის გამაზაზიაში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებასმეტყველო განყოფილებაზე. უკვე ატუდენტობის წლებში მუშაობდა პროფესორ ვ. ნ. ვერნადსკის მინერალოგიურ ლაბორატორიაში. 1902 წელს ატუდინტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის გარიცხება უნივერსიტეტიდან და ციხეში ჩასვეს ექვსა თვით... 1907 წელს კვლავ ალეგინება უნივერსიტეტში და ამ წლიდან დაიწყო მან საეცნიერო-კვლევითი მუშაობა გეოლოგიასა და მანერალოგიის დაწესება.

1910 წელს, ახალგაზრდა მინერალოგი გაემგზარა საზღვანოეთ, გეტინგენში, სადაც იმენტა ცნობილი მინერალოგის პროფესორ მიუგეს ლექციებს, ხოლო 1912 წელს ეცნობოდა პრალისა და ბერლინის მინერალოგიურ მუზეუმებს.

ალექსანდრე თვალშეკრელიძის ნიჭით და არაჩეულებრივმა ენერგიამ სათანადო გასაქანი და გამოყენება მხოლოდ საქართველოში საბჭოთა წესშეყობილების დამყარების შემდეგ ჰქონდა.

ალ. თვალშეკრელიძემ ჩამოაყალიბა მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრები სახელშეიფა უნივერსიტეტსა და კირივის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

მაგრამ ალ. თვალჭრელიძის დაშაურება სამშობლოსა და ხალხის წანაშე მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ მან დანერგა და განაგითარა საქართველოში ისეთი დარგები მეცნიერებისა, როგორიცაა მინერალოგია და პეტროგრაფია, არამედ იმაში, რომ მან მეცნიერებს ეს დარგები მცირდოდ დაუკავშირა მრეწველობას და ლაიფენა ისინი სოციალისტური შენებლობის სამახატერში.

ჯერ კიდევ 1916 წელს ალექსანდრე თვალჭრელიძემ შესულა საქართველოს თიხები. მან მოიარა ქუთაისის, ლეჩხუმის, რაჭის, შორაპნისა და ოზურგეთის მაზრები და აღმოაჩინა მრავალი საბადო ბარიტისა და თიხებისა, მათ შორის ეგრეთშოდებული „თავაბანი მიწის“ საბადოები გუმბრასა და ასკანაში.

მას შემდეგ იგი გულდამით სწავლობს ამ თიხების თვასებებს. აქედან ის არია, რომ ნავთობის გასტანდად და მისგან ნავთობა და ბენზინის მისალებად საჭიროა ეგრეთშოდებული „აღმორბენტები“. ასეთ აღმორბენტებად ბაქისა და ბათუმის ნავთაუშენდებანებში ხმარობდნენ თიხსა „ფლორიდინს“, რომელიც შორეული ფლორიდიდან და ჯორჯიის შტატიდან მოქმნდათ.

დღიდი მუშაობის გაწევა და ძრავალი გამოკლევის ჩატარება დაკავირდა ალ. თვალჭრელიძეს, რომ გამოკვლია გუმბრის თიხის თვასებები და დაედგინა მისი გამოყენების ტექნიკური პრიცეპი.

1929 წელს საბოლოოდ დადგენილ იქნა ახალი მინერალის „გუმბრინის“ ტექნიკური ღირსებები. აღმოჩნდა, რომ გუმბრინი გაცილებით უფრო უკეთეს შედეგის მიღებისა და დაედგინა მისი გამოყენების შტატიდან.

1930 წელს ჩამოყალიბდა ტრესტი „საქართველოს კუმბრინი“, ხოლო 1932 წელს, ტრესტის მუშაობის გაშლისთან დაკავშირებით, საბოლოოდ შეწყდა ამ წელლეულის შემოტანა ამერიკიდან. დღეს ბაქოსა და გრიშინის ქარხები გუმბრინით წერდენ ნავთს და გუმბრში თართობდა გაშლილი ამ მინერალის მოპოვება. წარმოების გაშლამ აუცილებელი გახსადა მაგისტრალური ხაზიდან გუმბრამდე საგანეგო რკინიგზის ხაზის გაყვანა. 1947 წელს მოპოვებული იქნება ამ ძვირფასი ნედლეულის 85.000 ტონა, რაც 4-5 ჯერ აღმატება ანგლისის მთელ მოპოვებას და მხოლოდ აძვრადა ნაკლები ამერიკის მოპოვებაზე. მეოთხე

სტალინური სტუმცელის ბოლოს 1950 წელს, გუმბრინის მოპოვება 250.000 ტონამდე იყა. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ შეძლო მეცნიერება, მრავალწლიანი გულდამით მუშაობის შედეგად, სრულიად უცნობი „თავაბანი მიწის“ უცნობი თვისებებს დადგენა, !

ყოველ მინერალსა და ქაში ალ. თვალჭრელიძეს აინტერესებს უცირკელებად ყოვლისა, ის, თუ რისთვის შეიძლება მისი გამოყენება. ამიტომ არის, რომ მას შეძლოს ცირკულარური მეცნიერების სამახატერში დაეყენებინა მრავალი მინერალი და ქანი, რომ მან შეძლო აღმოეჩინა და შეეწავლა მრავალი ახალი საბადო უძირიფრას ნებლეულისა და ამ საბადოების აღგილები დღეს ქარხები და მთელი სოფლებია დაგებული. ზესტატონის ფეროშენაღნობთა ქარხანაში ფერო-ცირკულიუმის შენაღნობის მისაღებად იყენებენ მინერალ ქალცედონს. ეს მინერალი აჯამეთში აღმოაჩინა ალ. თვალჭრელიძემ. დღეს აჯამეთის საბადოსკენ გაყვანილია რკინიგზის ხაზი და აჯამეთის ქალცედონი გააქვთ ფერო-ცირკულიუმის მისაღებად. 1931 წელს შემორჩენი — ურავა და ლუხუნში — ალ. თვალჭრელიძემ აღმოაჩინა დარიშხნის მინერალების საბადოები. დღეს ურავსა და ლუხუნში აგებულია გამამდიდრებული ქარხები, რომლებიც აწყიდვის თეთრ დარიშხანს სამედიცინო მრეწველობას.

საბჭოთა მეცნიერი ალექსანდრე თვალჭრელიძე შეანიშნავი პოპულარუზორია. იგი ავტორია მრავალი პოპულარული წერილისა საქართველოს ბუნებრივ სიმიდიდრეთა შესახებ.

მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობისათვის ახალი მინერალური ნედლეულის აღმოჩენისა და გამოვლინების დაწვში ალ. თვალჭრელიძე დაჯილდოებულის ლენინის ორდენით და შერმოს წითელი დროშის ორდენით, საქართველოს მთავრობაში მიაკუთვნა მას მეცნიერებისა და ტექნიკის დამახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1941 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდგინ წევრად და საწარმოო ძალთა შემწავლელი საბჭოს თავმჯდომარედ. დღეს 65 წლის მხელვინი მეცნიერი კვლავარულებური ენერგიითა და ახალგაზრდული კატაცებით მუშაობა საყვარელ სარბილოზე.

კ. ჯავრიშვილი



# სად იძანება დღე?

ବ୍ୟାଙ୍ଗା କ୍ଷେତ୍ରରେ ଥିଲା.

ରୂପିଙ୍ଗ କଣ୍ଠରୀ ଏହା?

იმიტომ, რომ დედამიწის სხვადასხვა მე-  
რიცდანზე, ებისა და იმპერი ძომინტში უვა-

დასწევა დროა, სხვანაირად რომ ვთქვათ,  
დედამიწის მეტიღიანები მზის ქვეშ სხვადა-  
სხვა დროს გაიღლიან ხოლმე და, მაშასადა-  
მე, საესებით ბუნებრივია, რომ ზოგან აღრე  
დაღვა ახალი წელი, ზოგან კი უფრო გვიან.

ჯერ ერთი, რომელ მერიდიანზეც არ უნდა და დაიწყოს დღე, რაგი დღიდამიწა ბერთოვებრია, დღე ირგვლივ შემოუჩენს მას და თავის საწყის ადგილს დაუბრუნდება, აქ ჩაქრება და დასაბამს მისცემს შემდგომ ახალ დღეს.

გარდა ამისა, რაკი დედამიწა თავის ღერძის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთ-საკენ ბრუნავს, ყოველი ახალი დღე აღმოსავლეთიდან იწყება და დასავლეთისაკენ მიდის. ბურთოსებრ დედამიწაზე აღმოსავლეთი და დამსავლეთი აუცილებლად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. მაშასადამე, საღლაც უნდა არსებობდეს ის ერთი, საერთო საზღვარი, რომელიც 1-ლ რიცხვს ყოფს 31 რიცხვისაგან, იანგარს დეკემბრისაგან, დამდეგ წელს განვლილი წლისაგან, უნდა არსებობდეს კაზღვარი, რომელიც მიჩნეულია ყოველი ახალი დღის საწყისაღ მთელი დედამიწისათვის.

\* օ. Սահմանական „Քունքը և ինք“ 1945 թվականի մայիս ամիսում՝ Հայաստանու գրքում:

და აი შეთანხმდნენ, რომ ასეთ საზღვრად ჩაითვალის ხაზი, რომელიც დაახლოებით ემთხვევა 180° მერიდიანს გრძინისას. მას უწოდეს „თარიღთა ცვლის ხაზი“, ანუ დროს აადემარკაციო ხაზი. იწყება იგი ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეში, გადას ბერინგის არქტიკული, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის, და მიღია სამხრეთით წყნარი იკეანის წყლებით ტეხილი ხაზის სახით თუ, რომ ხელეთზე არაა არ კავლის (ეს იმიტომ, რომ უხერხული იქნებოდა ხელეთზე ერთ და იგივე დღე ერთ ქალაქში, ვთქვათ, ხუთშაბათად ჩაგვეთვალა და მის მეზობელ ქალაქში—პარასკევად). მარშალის კუნძულები, ფიჯის კუნძულები, ახალი კალედონია, ახალი წელანდია ჩრება ამ ხაზს დაავლეთით, ხოლო ილეუტის კუნძულები, ჰავაის კუნძულები—აღმოსავლეთით.


ამ წარმოსახვითს ხაზზე, რომელიც წყნარი იკეანის უკაცრიელ წყლება ჭრის, ხდება დღეების, თვეებისა და წლების ცვლა. აქ თითქოს მოთავსებულია კალენდრის შესავალი კარები: აქ იბადება ყოველი ახალი დღე, აქ არის ყოველი ახალი წლის აქვანი.

ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყანა თავში განაპირო მხარეებით შორეულ აღმოსავლეთში მიღია, თვით „თარიღთა ცვლის ხაზს“ ემზადება. რუკაზე პატარა წერტილებით არის აღნიშნული კუნძულის კუნძულები. და როდესაც იქ, ამ შორეულ წერტილებზე, მთავრდება სამუშაო დღე და აღმოსა ბინდი გადაეფარება არემარეს, საბჭოთა ქვეყნის მეორე ნაირზე, ბალტიის ზღვის სანაბიროზე, იწყება განთიადი. კალინინგრადში, ამ ყველაზე დასავლეთელ საბჭოთა ქალაქში, ხმაურს იწყებენ ნავსადგურს ავზევი კრანები და ექსპავატორები, იტეროება მსოფლიოს ყოველი კუთხიდან აქ მოაული გემები, გუგუნებს გაღვიძებული ნავადგური.

ჭეშმარიტად, ჩვენს ქვეყანაში მზე არ ჩაღია.

ყოველი ახალი დღე, თვე თუ წელი პირველად „ფეხს“ ჩვენს მიწაზე შემოდგამს. აქედან იწყება განთიადი მთვლის დედამიწაზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



თარიღთა ცვლის ხაზი.

34/15  
Пролетарии всех стран, соединяйтесь!



# ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ  
ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ  
ГРУЗИИ


(на грузинском языке)

1947 год Издательство

Год издания 21-й "Коммунисти"

№ 1

ЯНВАРЬ



განხლება: წელი (მიღის) — ბაგშვებო! მაგალითი ჩემგან აიღეთ.  
მე არაუდეს არ ვრჩები მეორე წელს.

საჩედა ქციო კოლეგია: 1. აბაშიძე, ი. ია. 6. ბერძენიშვილი,  
2. გევანჩიძე (პ/მგ. რედაქტორის მაგიერ). 3. ვარდაშვილი ვროვ. 4. თავჭაშვილი,  
5. კეცოველი, 6. მეტრეველი, 6. ნაკაშაძე.

კუ 0072 ცირაული 7000, გამოც. № 11, სტამბის შეკვეთა № 125, ბერიას სახელმისამართის კომისია „კომუნისტი“  
ფუნქციის ქ. № 28. ქურნალის გარეკანი დაზეჭდილია საქ. ს. საგემოვნო მრეწვ. სამრისტოს ლითოგრაფიაში.

## გ ი ნ ა ს ი ს

- ანდრო თევზაძე — სალიმა, ასა  
ლო წელი (ლექსი) გამოცა  
ნის გე-2 გვ.  
მურბან ლეგანიძე — თამ  
ლენინის წიგნები (ლექსი). 1.  
ვლადიმერ სულბერიძე-მზად  
გართი (ლექსი). 2.  
თა მაჩაბლი — საყარაბული  
ბიჭუნები (ნარცევი). 2.  
როდონ ქორქია — ლუგალა  
(ნარცევი). 3.  
თომ გელიძე — ბაბა თამას  
ნაამზობი (სამცორის ლე-  
გენია). 7.  
ვორგი ქუჩიშვილი (ნეკრო-  
ლოგი). 10.  
მიხეილ ადუაზილი — პაუტი  
ჩვენთან იყო... (ლექსი). 10.  
ირაკლ აბაშიძე — წიგნის შე-  
სახებ (ლექსი, გაღმოყეო-  
ბული ს. მარგარიძა). 11.  
ლ. ხმელირი-ჩუსეითის ადა-  
ცის მაბა (ნარცევი). 14.  
დიად მუხნებლობითა ხეთ-  
წლედი. 16.  
ნიკოლა ჯაში — ოდესა  
(საბჭოთა კავშირის გმირი-  
ქალაქები). 18.  
ჩარლზ ლემა — ზამთრის  
ზღაპრი (დასასრული). 22.  
3. გოგაშვილი — ავადმყოფი  
ლომები (ოგავი). 26.  
3. ჯავრიშვილი — ალექსან-  
დრე თვალწირელიძე (ქართველი  
მეცნიერები). 28.  
3. გვინჩიძე — სად იმადება  
დღე? (საუბრის ასტრონომი-  
ულ საიოთებებზე). 30.  
გასული წელი ... (ნაბირი  
მ. ოთარეგიასა). 32.  
ვასართბი — გარეკანის მე-3 გვ.  
გარეკანზე მჩატვაზ ნ. ფულაძეს  
ნახატი აახალი წელი“


რედაქციაში შემოსული ხელნაწერები  
აკრიტიკებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი — თბილისი,  
ლენინის ქუჩა, № 98.  
ტელ. № 8—81—88

# გასართობი



## აკადემიური გარემონტი



1. მრავალწახნაგოვანი გეომეტრიული სხეული, 2. ახალი წლის თვე, 3. მოგრძო წრე, 4 მარადმწვანე ხე, 5. მდინარე გერმანიაში, სადაც სამამულო ომში შეხვდნენ ერთმანეთს საბჭოთა და მოკაგზირე ჯარები, 6. შენობა ბერლინში რაზედაც მეომრებმა ეგოროვება და ქანთარიამ ააფრიალეს გამარჯვების დროშა, 7. XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი.

8. საქართველოს დაცოსი, 9. მჭევრმეტყველი, კარგი მოლაპარაკე, 10. რუსი საბავშვო მწერალი, რომელიც დაიღუპა სამამულო ომში, 11. უმაღლესი სასწავლებელი, 12. გამოჩენილი მხედართმთავარი, კავკასიის დაცვის აქტიური მონაწილე, 13. თებერვლის რომელ რიცხვს არის დაიშანული საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები, 14. ქალაქი ყუბანში, რომელიც გაათავისუფლა ქართველ მეომართა დივიზიამ, 15. ელექტროძრავის ერთეული.

16. საზამთრო სპორტული იარაღი, 17. ქება, 18. დედა-მიწის ერთი ნაწილი, 19. დიდი ქალაქი მდინარე ნევაზე.

20. დიდი სამამულო ომის შონაწილე ქართველი გმირი, 21. მარტინშის ერთ-ერთი კლასიკოსი, 22. სასწავლო დაწესებულება.

რობორც მოხვალ სცინა,

ისი ზახვალ შინაო

ძველად ასეთი წესი იყო: მოყვრის სანახავად რომ მივიღოდა კაცი, ძღვენს მიუტანდა — ხაჭაპურების, ჩურჩლების, ხილს, გასუსტებულ დედალს. მასპინძლიც, რა თქმა უნდა, დავალებული არ დარჩებოდა და პატივცემულ მოყვარეს დატვირთულს გაისტუმრებდა. ბოლოს ძღვენის მიტანა თანდათან მოისპო, მისვლა-მოსვლა კი მოყვრებს შორის დარჩა, რა თქმა უნდა. ასეთ შემთხვევაში სტუმარიც და მასპინძლიც ბოდიშს მოიხდიდა, თუ რატომ მოვიდა ან მოდის ხელცარიელი.

ერთხელ ნათლია (სვინა) ესტუმრა ნათლიდედას და ბოდიში მოიხადა:

— კოჭლი ცხენი მყავდა და ამიტომ ვერაფერი წამოვიდეო.

— ვაი შენ ნათლიდედას, თუ იქიდან გერა წამოილორა, აქედანაც ხომ ვერაფერს წაიღებსო — მოსწრებულად მოიხადა ბოდიში ნათლიდედამ.

## 3. ჰანიშვილი

### ამოცანა

თქვენ მატარებელში ზისართ და გსურთ გაიგოთ, რა სიჩქარით მიღის იგი.

ეს შეგიძლიათ გაიგოთ ვაგონის თვლების რელსებზე რაკუნით. როგორ?

### პასუხი უურნალ „პიონერის“

#### № 10-ში მოთავსებულ გასართობი

##### გამოცანებზე

##### გეოგრაფიული ჩაინვორდი

1. აბისინია, 2. აბო, 3. ორინიკო, 4. ორასი, 5. იანვარი, 6. რიო დე-უნეირონ 7. ობი, 8. იმერეთი, 9. თბილისი, 10. ირკუტსკი, 11. ინდიანა, 12. აჭარა, 13. როსტოკი, 14. ვიტებსკი, 15. იავა, 16. ანა, 17. ივანოვო, 18. ორისაბა, 19. ბაქო, 20. ქუთაისი, 21. სტალინგრადი.
22. ინგლისი.

